ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 141

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.069.014) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, კახეთის ხევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.069.014) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის №19.391.518 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

					დანართი №1
		ქ. თბილისი, კახეთის ხეივი №5 (ს/კ 01.17.02.069.014)			
№	**სახელი და გვარი**	**პირადი №**	**დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი**	**ფაქტობრივად დაკავებული ფართი**	**საკადასტრო კოდი**
1	ზაზა გერგედავა	51001000564	სართული 1, ბინა №1	61.01 კვმ	01.17.02.069.014.01.001
2	გოჩა შენგელია	48001016790	სართული 1, ბინა №8	67.10 კვმ	01.17.02.069.014.01.008
3	ხათუნა შონია	51001026244	სართული 2, ბინა №16	46.71 კვმ	01.17.02.069.014.01.016
4	ნატო სალია	51001004667	სართული 2, ბინა №14	48.36 კვმ	01.17.02.069.014.01.014
5	თეკლე გოგია	19001083356	სართული 1, ბინა №4	33.90 კვმ	01.17.02.069.014.01.004